პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУзии и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 26 (10420) | სამშაბათი, 31 იანვარი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაცია (1-ლი გვერდი).

ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად დაარსებული პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა. კივუ სტოიკას გამოსვლა. ცნობა სხდომის მეორე დღის შესახებ. ვ. მ. მოლოტოვისა და ვ. დავიდის გამოსვლები. განცხადება ნე ჟუნ-ჯენისა (1-ლი, მე-2 და მე-3 გვერდი).

დასკვნითი კომუნიკე მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომების გამო (მე-3 გვერდი).

ხელი მოაწერეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციას (მე-3 გვერდი).

პრაღიდან გაემგზავრნენ ვ. მ. მოლოტოვი და გ. კ. ჟუკოვი (მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის წარმომადგენლები დაბრუნდნენ პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის სხდომიდან (მე-3 გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია. საქართველოს სსრ 1956-წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბუღალტრო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ნ. ჭორჭანის მოხსენება (მე-4 გვერდი).

ფინეთიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია (მე-4 გვერდი).

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა

დეკლარაცია

ვარშავის 1955 წლის 14 მაისის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, რომლებიც შეიკრიბნენ პრაღაში ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად შექმნილი პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე, ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო მდგომარეობისა და ევროპის უშიშროების საკითხებზე. ამის შედეგად ისინი გამოთქვამენ სრულ ერთსულოვნებას როგორც მთლიანად საერთაშორისო მდგომარეობის, ისე აგრეთვე ევროპაში შექმნილი მდგომარეობის შეფასებაში. ისინი ერთსულოვანი არიან აგრეთვე იმ ღონისძიებათა მიმართ, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ კიდევ უფრო შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა, მოწესრიგდეს გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემები, რომ განმტკიცდეს მშვიდობა და უშიშროება ევროპაში.

ხალხთა დიდმა მისწრაფებამ მშვიდობისადმი უკვე გამოიწვია არსებითი ცვლილებანი საერთაშორისო ვითარებაში, დაძაბულობის გარკვეული შენელება სახელმწიფოთა ურთიერთობაში. გამოვლინდა ახალი, ჯერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობანი, რომ გაუმჯობესდეს ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის და განმტკიცდეს საერთაშორისო თანამშრომლობა, მიუხედავად სახელმწიფოთა საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებისა. თავისი დანშნულება გაამართლა იმ მეთოდმა, რომ უთანხმოებანი და დავა სახელმწიფოთა შორის გადაიჭრას არა ძალის გამოყენების ან ძალის მუქარის გამოყენების გზით, არამედ მოლაპარაკების გზით ისე, რომ გათვალისწინებულ იქნას მხარეთა ურთიერთ ინტერესები. სწორედ ამიტომ სახელმწიფოების ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრებს, რაც ამ უკანასკნელ ხანს მოეწყო, განსაკუთრებით ოთხი სახელმწიფოს მთავრობის მეთაურთა ჟენევის თათბირს, დიდი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის, ახალი ომის საფრთხის შემცირებისათვის.

სახელმწიფოთა ურთიერთობის განვითარება ამ უკანასკნელ წლებში ცხადყოფს, რომ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ მიმართული იმ აგრესიული სამხედრო ბლოკების შექმნის პოლიტიკა, როგორიც არიან ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი, ბაღდადის ბლოკი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკი (სეატო), არათუ ვერ უწყობს ხელს უთანხმოების მოწესრიგებას სახელმწიფოთა შორის, არამედ, პირიქით, აძლიერებს ამ უთანხმოებებს, იწვევს ქვეყნებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავებას. ასეთი პოლიტიკის შედეგია უმაგალითო მასშტაბის გამალებული შეიარაღება, განსაკუთრებით მასობრივი მოსპობის იარაღის—ატომური, წყალბადის, რაკეტისა და სხვა იარაღის დარგში. ამ პოლიტიკამ უკვე გამოიწვია ის, რომ სახელმწიფოთა უდიდესი და სულ უფრო მზარდი მატერიალური რესურსები იხარჯება წყალბადისა და ატომური იარაღის, რაკეტული ტექნიკის, თვითმფრინავების, სამხედრო-საზღვაო გემების, ტანკების, არტილერიისა და სხვა შეიარაღების საწარმოებლად. ყოველივე ეს უთუოდ ზრდის ახალი ომის საფრთხეს, რომელიც კაცობრიობას მოუტანდა აურაცხელ მსხვერპლსა და უბედურებას.

ამავე დროს ბევრი იმ სახელმწიფოსათვის, რომლებიც გარედან ზეგავლენით, ყოველნაირი ხერხით და ღონისძიებით შეჰყავთ აღნიშნულ სამხედრო ბლოკებში, ამ ბლოკებში მონაწილეობა მოასწავებს იმას, რომ უშუალო საფრთხე მოელის მათს ეროვნულ დამოუკიდებლობას, მოასწავებს საფრთხეს, რომ მათ ჩაბამენ კონფლიქტებში უცხო ინტერესებისათვის, აგრეთვე საფრთხეს, რომ აღადგენენ იმ ხალხთა კოლონიურ დამონებას, რომლებმაც შეუპოვარი ბრძოლით მოიშორეს კოლონიური უღელი და მოიპოვეს დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობა.

შემთხვევითი როდია, რომ აგრესიული სამხედრო ბლოკების შექმნისა და გამალებული შეიარაღების პოლიტიკას გმობს სახელმწიფოთა სულ უფრო ფართო წრე. სულ უფრო მეტ აღიარებას პოულობს ის მისწრაფება, რომ სახელმწიფოებმა კოლექტიური ღონისძიებანი განახორციელონ მშვიდობისათვის ბრძოლაში, მისწრაფება საერთაშორისო თანამშრომლობისადმი, რომელსაც საფუძვლად დაედება ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემა, თავდაუსხმელობა, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, თანასწორუფლებიანობა და ურთიერთ სარგებლობა, მშვიდობიანი თანაარსებობა. ამ მიზანს შეესაბამება აგრეთვე მთელი რიგი სახელმწიფოების მისწრაფება განახორციელონ აგრესიულ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკა, ნეიტრალიტეტის პოლიტიკა.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები მიესალმებიან ასეთ მისწრაფებებს, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ასეთი მისწრაფებებისათვის მხარდაჭერა განამტკიცებს მშვიდობის ძალებს და ასუსტებს ომის ძალებს.

ისინი თანაგრძნობას უცხადებენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხებს, რომლებიც აცავენ დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების თავიანთ კანონიერ უფლებებს.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ სავსებით უპირველ მხარს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებებს, რომლის მონაწილეებმა ცხადყვეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან მშვიდობისა და პროგრესის საქმე, დაგმეს კოლონიური სისტემა, რომელსაც ახალი გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა დიდი ჩინელი ხალხის გამარჯვებამ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნამ, რომელიც ახლა მთელი მსოფლიოს მშვიდობის ერთ-ერთი ძლიერი ბურჯია. ისინი ამასთანავე აღნიშნავენ თვალსაჩინო როლს, რომელიც ამ კონფერენციაში შეასრულეს ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორიც არიან ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა, ეგვიპტე და სხვები. ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან ხელი შეუწყონ ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, მათ შორის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის დარგში ურთიერთ სარგებლობის საფუძველზე ისე, რომ ერთიმეორეს თავს არ მოახვიონ რაიმე პოლიტიკური, სამხედრო თუ სხვა პირობები.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, ბუნებრივია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მდგომარეობას ევროპაში და იმ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა ევროპის უშიშროების უზრუნველსაყოფად. შექმნილ მდგომარეობაში, როცა ევროპა გაყოფილია ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ სამხედრო დაჯგუფებებად, როცა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მონაწილე სახელმწიფოთა გამალებული შეიარაღება სულ უფრო დიდი გაქანებით წარმოებს, როცა ხორციელდება აქტიური რემილიტარიზაცია დასავლეთ გერმანიისა, რომელიც შეყვანილია ამ ბლოკში, ევროპის ხალხებს, გასაგებია, აწუხებს მშვიდობის ბედი ევროპაში. მათ შეგნებული აქვთ შეიარაღებული ძალების — არმიების, ავიაციის, ატომური და წყალბადის იარაღის მარაგის ზრდის მთელი საფრთხე. ისინი აგრეთვე ითვალისწინებენ იმას, რომ ევროპაში ასეთი მდგომარეობის გაგრძელება კიდევ უფრო გაადიდებს სამხედრო ხარჯების ტვირთს, რაც ხალხებს აკისრია გამალებულ შეიარაღებასთან დაკავშირებით.

სწორედ იმ საფრთხის შეგნებით, რომელსაც შეიცავს აგრესიული სამხედრო ბლოკების შეკოწიწების პოლიტიკა და გამალებული შეიარაღება, შეგვიძლია ავხსნათ ის ფაქტი, რომ ფრანგმა ხალხმა პარლამენტის ამასწინანდელ არჩევნებში მხარი დაუჭირა ძალებს, რომლებიც ემხრობიან საერთაშორისო თანამშრომლობას, გადაუჭრელი პრობლემების მშვიდობიანი საშუალებებით მოწესრიგებას, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას.

საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და ალბანეთი აცხადებენ, რომ მზად არიან ითანამშრომლონ ყველა სხვა სახელმწიფოსთან იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელთა მიზანია ევროპის უშიშროების განმტკიცება და ახალი ომის საფრთხის აღკვეთა ევროპაში. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც განახორციელონ ყველა სახელმწიფოს, დიდ და პატარა სახელმწიფოებს შორის მშვიდობისა და მშვიდობიანი ყოველმხრივი თანამშრომლობის პოლიტიკა. ეს მათი მისწრაფება ემყარება იმის ღრმა შეგნებას, რომ ახალი ომი კოლოსალურ მსხვერპლს, ტერიტორიების გაპარტახებას მოუტანდა უწინარეს ყოვლისა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც გადაიქცევიდნენ ბრძოლის ველად. ეს მისწრაფება გამომდინარეობს აგრეთვე თვით ამ სახელმწიფოების შინაგანი განვითარების მოთხოვნილებებიდან და ბუნებიდან, სახელმწიფოებისა, რომელთა ხალხები ახორციელებენ ეკონომიური და კულტურული განვითარების, ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესების, ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარების დიად გეგმებს, რაც მათ საშუალებას მისცემს კაცობრიობის სამსახურში ჩააყენონ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები.

ევროპის უშიშროების განმტკიცებისადმი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ამ მისწრაფების საწინააღმდეგოდ დასავლეთის სახელმწიფოთა გარკვეულ წრეებს ეშინიათ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაფართოებისა. ისინი აშკარად ისწრაფვიან შეინარჩუნონ ომის ფსიქოზი, განაგრძონ „ცივი ომი“, მიაჩნიათ რა, რომ მხოლოდ ამ გზით შეძლებენ ხელი შეუშალონ მათ მიერ ევროპაში — და არა მარტო ევროპაში — შექმნილ სამხედრო დაჯგუფებათა დაშლას და შეინარჩუნონ გამალებული შეიარაღება, უზრუნველყონ კაპიტალისტური მონოპოლიების ისედაც დიდ მოგებათა ზრდა.

თავიანთი ფართოდ რეკლამირებული სამხედრო პროგრამებით და საომარი განცხადებებით ამ სახელმწიფოების აგრესიული წრეები ცდილობენ ამავე დროს დააშინონ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები, აიძულონ ისინი გასწიონ უზომო სამხედრო ხარჯები, შეკვეცონ მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობა. მათ ეშინიათ მშვიდობის ძალთა განმტკიცებისა, ეშინიათ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ხალხების კეთილდღეობის ზრდისა.

ყოველივე ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ზედიზედ ქმნიან დაბრკოლებებს სრულიად ევროპის უშიშროების შესახებ შეთანხმებათა მიღწევის გზაზე, უარს ამბობენ შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემის გადაჭრაზე, გამალებული შეიარაღების შეწყვეტაზე.

ჩვენი ქვეყნების ხალხები, რომლებსაც იმედი აქვთ თავიანთი ძალებისა და აღფრთოვანებული არიან სოციალიზმის მშენებლობის დიადი გამარჯვებებით, არავის დააშინებინებენ ან მოატყუებინებენ თავს. ეყრდნობიან რა ყველა ხალხის განუხრელ მისწრაფებას მშვიდობისადმი, თავიანთ გაერთიანებულ და მზარდ ძლიერებას, ისინი კვლავაც განახორციელებენ თავიანთ სამშვიდობო შემოქმედებითს პოლიტიკას, აქტიურად შეუწყობენ ხელს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

ევროპის ხალხთა განვითარების მშვიდობიანი პირობები ყველაზე უკეთ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნით, რომელიც შეცვლის ევროპაში არსებულ სამხედრო დაჯგუფებებს. სურთ რა გააადვილონ ევროპის უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნის შესაძლებლობა, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ამასთან აცხადებენ, რომ მზად არიან სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთად განიხილონ წინადადებანი, რომლებიც შეესაბამებიან ამ ამოცანას.

ასეთ მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს შესაბამისი შეთანხმების დადება თავდაპირველად ევროპის სახელმწიფოთა ერთ ნაწილს შორის, სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით, აგრეთვე ევროპაში ისეთი ზონის დაწესება, რომელშიც შეიარაღებული ძალების რიცხვსა და განლაგებას განსაზღვრავს სპეციალური შეთანხმება დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის. ამასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნას აგრეთვე შესაბამისი წინადადებანი, რომლებიც ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე წამოაყენა დიდი ბრიტანეთის მთავრობამ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საკითხი, რომ ევროპაში დაწესდეს შეიარაღების შეზღუდვისა და მისდამი კონტროლის ხსენებული სპეციალური ზონა, რომელშიც შევა გერმანიის ორივე ნაწილი, და მიღწეულ იქნას ამის შესახებ შესაბამისი შეთანხმება სახელმწიფოებს შორის. ასეთი შეთანხმება შეიძლება ითვალისწინებდეს უცხოეთის ჯარების გაყვანას ან მათი რიცხვის შეზღუდვას გერმანიის ორივე ნაწილში, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის შეიარაღებული კონტინგენტების შეზღუდვას, ამასთან შესაბამისი შეთანხმების დაცვისადმი საჭირო კონტროლის დაწესებას. ასეთი შეთანხმება დადმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ევროპაში დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის. იგი უფრო ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა აგრეთვე გერმანიის პრობლემის გადაჭრისათვის ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის მოთხოვნების შესაბამისად.

ახორციელებენ რა გამალებულ შეიარაღებას, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მონაწილე სახელმწიფოებმა გასული წლის დეკემბერში საჭიროდ მიიჩნიეს თავიანთი არმიების შეიარაღება ატომური იარაღით და ამ დაჯგუფების სამხედრო-საჰაერო ძალების ერთი მესამედით გადიდება ევროპაში. შეუძლებელია არ ვხედავდეთ, რომ ასეთი ნაბიჯის მიზანია მდგომარეობის გამწვავება ევროპაში, შემდგომი გამალებული შეიარაღება, სამხედრო ბიუჯეტების კიდევ უფრო გაბერვა. ყოველივე ამას სჩადიან, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის მშვიდობისმოყვარე ქვეყნებმა უკვე განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი თავიანთი შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ბიუჯეტების შესამცირებლად.

რამდენადაც ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ხალხთა მოთხოვნებს — ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებასა და აღიკვეთოს ატომური ომის საფრთხე, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები გადაჭრით გმობენ ამ ნაბიჯს, რომელიც შეუთავსებელია ევროპის უშიშროების ინტერესებთან. მათი წინადადებაა, რომ სანამ მიღწეულ იქნებოდეს შეთანხმება ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის დაიდოს შეთანხმება იმაზე, რომ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც განლაგებული არიან გერმანიის ტერიტორიაზე, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს, არ ჰქონდეთ შეიარაღებაში ატომური იარაღი. ასეთი შეთანხმება წინადადგმული ნაბიჯი იქნება ევროპის დაძაბულობის შენელების საქმეში და შეესაბამება აგრეთვე გერმანელი ხალხის ინტერესებს.

ოთხი სახელმწიფოს ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეებს შორის აზრთა გაცვლამ, რაც გასული წლის ივლისსა და ოქტომბერში გაიმართა ჟენევაში, გამოავლინა მხარეების მისწრაფება, რომ მათ შორის არსებული უთანხმოებანი გადაიჭრას მშვიდობიანი საშუალებებით, მოლაპარაკების გზით. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, რომ ერთი მხრივ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა და მეორე მხრივ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრან დავა და უთანხმოებანი, რომლებიც მათ შორის წარმოიშობა.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები იმ აზრს ადგანან, რომ კარგი ურთიერთობის დამყარებას და სადავო საკითხების მოწესრიგებას ცალკეულ ქვეყნებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამჟამად შეიძლება ეკუთვნოდნენ ამა თუ იმ სამხედრო დაჯგუფებას, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მშვიდობის განმტკიცებისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება მეზობელ სახელმწიფოებს. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ექნებოდა კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას, კერძოდ, საბჭოთა კავშირს, თურქეთს, ბულგარეთს, საბერძნეთს, ალბანეთს, იტალიას, ჩეხოსლოვაკიას, გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის. დიდი მნიშვნელობა ექნებოდა აგრეთვე ნორმალური ურთიერთობის დამყარებას იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც დღემდე ასეთი ურთიერთობა არა ჰქონიათ.

სანამ მიღწეულ იქნებოდეს შეთანხმება ევროპის უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნის შესახებ, ასეთი უშიშროების განმტკიცებისა და ევროპის სახელმწიფოებს შორის საჭირო ნდობის შექმნის საქმეში სერიოზული წვლილი იქნება ის, რომ შესაბამისმა ქვეყნებმა დადონ ხელშეკრულებანი თავდაუსხმელობის შესახებ და იკისრონ ვალდებულება მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრან სადავო საკითხები.

საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ალბანეთის მთავრობები აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარონ ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს. ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთად განიხილონ ევროპის უშიშროების გადაუდებელი პრობლემები, ისევე როგორც სხვა გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემები, მათ შორის საკითხი გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და ატომური ომის საფრთხისაგან კაცობრიობის განთავისუფლების ღონისძიებათა შესახებ. ამავე დროს ისინი კვლავაც გამოიჩენენ საჭირო ზრუნვას თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფისათვის და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გააკეთონ ყველაფერი, რაც საჭიროა, რათა დაიცვან თავიანთი მოქალაქეთა მშვიდობიანი შრომა, უზრუნველყონ პირობები თავიანთი ხალხების მშვიდობიანი განვითარებისა და აყვავებისათვის.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისაგან:
მ. შეხუ, ბ. ბალუკუ

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან:
რ. დამიანოვი, პ. პანჩევსკი

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან:
ა. ჰეგედიუში, ი. ბატა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან:
ვ. ულბრიხტი, ვ. შტოფი

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან:
ი. ცირანკევიჩი, კ. როკოსოვსკი

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან:
ს. კივუ, ლ. სელეჟანი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან: **ვ. მოლოტოვი, გ. ჟუკოვი**

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისაგან: **ა. ჩეპიჩკა, ვ. დავიდი.**

პრაღა, 1956 წლის 28 იანვარი.

(საკდესი).

ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად დაარსებული პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კივუ სტოიკას გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო!

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია ეს სხდომა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტისა, რომელიც შექმნილია ვარშავის ხელშეკრულების დებულებათა შესაბამისად იმ საკითხთა და ერთობლივ ღონისძიებათა განსახილველად, რომლებიც ხელშეკრულებიდან გამომდინარეობენ ახლანდელ საერთაშორისო პირობებში.

დადეს რა ვარშავის ხელშეკრულება, რომელიც გამოხატავს ჩვენი ხალხების მტკიცე ნებას — უზრუნველყონ თავიანთი ეროვნული უშიშროება და შეინარჩუნონ მშვიდობა იმ საფრთხის წინაშე, რომელიც წარმოიშვა დასავლეთ ევროპის კავშირის შექმნის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის რემილიტარიზაციისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში მისი შეყვანის შედეგად, ჩვენმა ქვეყნებმა გაიძრავლეს ღონისძიებანი კოლექტიური უშიშროების განსახორციელებლად და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად. კიდევ უფრო გაძლიერდა ურღვევი მეგობრობა, ყოველმხრივი თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება ჩვენს მოძმე ქვეყნებს შორის.

მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის დაცვაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს მსოფლიო ნნიშვნელობის საყოველთაოდ ცნობილმა ღონისძიებებმა, რომლებიც განახორციელა საბჭოთა კავშირმა, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების, ინდოეთისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წვლილმა.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა თანმიმდევრულად ახორციელებდა მშვიდობის დაცვისა და საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომი შენელების აქტიურ პოლიტიკას, რომლის მიზანია გადაიჭრას ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად კოლექტიური უშიშროების, განიარაღების საკითხები, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხები.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა განსაკუთრებული კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ბელგრადის ერთობლივ დეკლარაციას, რომელიც მას დემოკრატიისა და სოციალიზმის განმტკიცების დიდმნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნია. რუმინეთსა და იუგოსლავიას შორის აღდგენილია და ვითარდება მეგობრული თანამშრომლობის ურთიერთობა.

მტკიცდება და ვითარდება პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ინდოეთს, ეგვიპტეს, სირიასა და შუა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს შორის.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა ღრმა სიმპათიით არის გამსჭვალული აზიისა და აფრიკის ხალხთა თავდადებული და მამაცური განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, დამოუკიდებლობისათვის, მათ საშინაო საქმეებში უცხოელთა ჩარევის წინააღმდეგ.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკამ საქმით დაუჭირა მხარი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკას. ჩვენმა ქვეყანამ შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალების რიცხვი 40.000 ჯარისკაცითა და ოფიცრით. შემცირდა აგრეთვე სამხედრო სამსახურის ვადა.

რუმინეთის მთავრობამ გამოიჩინა თანაწინაობა საბერძნეთთან ურთიერთობის განახლების საქმეში, კონკრეტული წინადადებებით მიმართა საბერძნეთის მთავრობას დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა და მისიების გაცვლის მიზნით, აგრეთვე ძველი გადაუჭრელი საკითხების განხილვის მიზნით, რაც უეჭველად ორივე ქვეყნის სასარგებლო იქნებოდა და ხელს შეუწყობდა მათი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას. ჩვენ არაერთხელ გამოგვითქვამს სურვილი გავაუმჯობესოთ და განვავითაროთ ურთიერთობა თურქეთთან, რომელთანაც ერთი სადავო საკითხიც არა გვაქვს, რომელიც გამომდინარეობდეს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობიდან.

ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ განვავითაროთ ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან, ლათინური ამერიკის ქვეყ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად დაარსებული პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა

კივუ სტოიკას გამოსვლის დასასრული

ნებთან და დასავლეთის სხვა ქვეყნებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს სავსებით შესაძლებელია თანასწორობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე.

რუმინეთისა და საფრანგეთის, აგრეთვე რუმინეთისა და იტალიის ურთიერთობა შეიძლება ნაყოფიერად განვითარდეს მომავალში ტრადიციული მეგობრობით დაკავშირებული ჩვენი ხალხების ინტერესთა შესაბამისად.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა კვლავაც ეცდება განავითაროს თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობა, კულტურული კავშირი, შემოიღოს პრაქტიკაში მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ურთიერთმოგზაურობა და საპარლამენტო დელეგაციათა გაცვლა ყველა ქვეყანასთან, რომელსაც ეს სურს.

რუმინელი ხალხი კმაყოფილებით შეხვდა გადაწყვეტილებას, რომლის ბეოხებითაც რუმინეთის სახალხო რესპუბლიკამ დაიკავა დამსახურებული ადგილი როგორც მშვიდობისმოყვარე ქვეყანამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სადაც მომავალშიც აქტიურად შეუწყობს ხელს ყველა საერთაშორისო ღონისძიებას, რომელთა მიზანია ხალხთა შორის თანამშრომლობის განმტკიცება, მშვიდობის შენარჩუნება და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფა. ეჭვი არ არის, რომ ექვსასმილიონიანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ ორგანიზაციის პრესტიჟი მნიშვნელოვნად ამაღლდება.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირმა გამოავლინა, რომ შესაძლებელია მშვიდობიანად გადაიჭრას სადავო საკითხები მოლაპარაკების გზით, თუ სახელმწიფოები გამოიჩენენ ურთიერთგაგებას და გაითვალისწინებენ ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი.

დასავლეთის ქვეყნების გარკვეულ აგრესიულ წრეებს არა სურთ შესაბამისი დასკვნები გამოიტანონ უკანასკნელი წლების საერთაშორისო ამბებიდან, რომლებიც მოწმობენ იმ ძალების მნიშვნელოვან წრდას, რომელთაც ძტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან მშვიდობა. ეს აგრესიული წრეები ცდილობენ შეინარჩუნონ დაძაბულობა და ომის ფსიქოზი, მოქმედებენ „ჟენევის სულისკვეთების“ წინააღმდეგ, გაგრძელებენ გამალებულ შეიარაღებას, რომელიც ზღაპრულ მოგებას აძლევს იარაღის მსხვილ მეფაბრიკეებს, აგრეთვე ცდილობენ დაამინონ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები, გააწევინონ მათ უზომო სამხედრო ხარჯები და ამრიგად ხელი შეუშალონ ამ ქვეყნების მშვიდობიან მშენებლობას და ხალხთა მასების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას მიაჩნია, რომ მისი უშიშროების უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას.

უდავოა, რომ კოლექტიური უშიშროების ასეთი სისტემა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ისე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა აგრეთვე გერმანიის გაერთიანებისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან, მისი საერთაშორისო ეკონომიური და კულტურული კავშირურთიერთობის განვითარება, მისი თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკა მოწმობს, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში.

ამხანაგებო!

ჩვენი ქვეყნები ძლიერნი არიან. მათ აქვთ ჯანსაღი, განუწყვეტლივ მზარდი ეკონომიკა, აყვავებული კულტურა. ისინი აშენებენ მშრომელთა ახალ საზოგადოებას. მათთვის უცხოა აგრესიული მიზნები, ხოლო აგრესიული და დაპყრობითი ომები მათ მიაჩნიათ მთელი ხალხის უბედურებად და დაბრკოლებად კაცობრიობის პროგრესის გზაზე.

გამალებული შეიარაღების შეწყვეტა დადებითი ფაქტორი იქნებოდა სახელმწიფოებს შორის უნდობლობის აღმოფხვრისათვის, კაცობრიობის ეკონომიური განვითარებისათვის; მნიშვნელოვანი რესურსები შეგვეძლო გამოგვეყენებინა სამოქალაქო მშენებლობის განვითარებისათვის, კულტურის აყვავებისათვის, პროგრესისა და ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობაში გამოვიყენოთ ხუთი პრინციპი: ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემა, თავდაუსხმელობა, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, თანასწორობა და ურთიერთ სარგებლობა, მშვიდობიანი თანაარსებობა. ამ პოლიტიკას უერთდება სულ უფრო მეტი სახელმწიფო. ამ პოლიტიკას, როგორც ერთადერთ შესაძლო, გონივრულ პოლიტიკას ყველა ქვეყანაში ბარს უჭერენ სულ უფრო ფართო წრეები და სხვადასხვა შეხედულების საზოგადო მოღვაწეები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სადავო საერთაშორისო საკითხები შეიძლება მშვიდობიანად მოწესრიგდეს მოლაპარაკების გზით, რომ არის პირობები მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობის დამყარებისათვის.

ამავე დროს არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ, რომ გარკვეული აგრესიული წრეები ყველაფერს აკეთებენ, რაც შესაძლებელია, რათა განაგრძონ „ცივი ომის“ გაღვივების საშიში პოლიტიკა და „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა.

ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ, აგრესიული წრეები ააქტიურებენ თავიანთ პოლიტიკას მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, იყენებენ რა ამ მიზნით სამხედრო დაჯგუფებებს — ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკსა და დასავლეთ ევროპის კავშირს ევროპაში, სეატო-ს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ისინი ქმნიან ახალ სამხედრო ბლოკებს, როგორიც არის, მაგალითად, ბაღდადის პაქტი, რითაც ცდილობენ განამტკიცონ თავიანთი ბატონობა ახლო და შუა აღმოსავლეთში, ჩაახშონ ამ ქვეყნების ხალხთა მოძრაობა ეროვნული განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და ამ პოზიციებიდან საფრთხე შეუქმნან სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს.

ყოველივე ამის გამო ჩვენმა ხალხებმა და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხმა განუწყვეტლივ უნდა აძლიერონ თავიანთი სიფხიზლე, რაც უმნიშვნელოვანესი პირობაა იმისათვის, რომ წინააღუდგნენ აგრესიულ წრეებს და ჩაფუშონ მათი სამარი გეგმები.

ამ საერთაშორისო პირობებში ჩვენი ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობას ვარშავის ხელშეკრულების ფარგლებში, შეთანხმებულ ღონისძიებებს, რომლებსაც ხელშეკრულების შესაბამისად მიიღებენ ჩვენი ქვეყნები მათი პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობის დარგში, მათი სამხედრო თანამშრომლობის დარგში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხების უშიშროებისა და შემოქმედებითი, მშვიდობიანი შრომის დაცვისათვის.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ქვეყნების ერთობლივი ღონისძიებანი მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების ინტერესებისათვის დიდ დახმარებას გაუწევენ მშვიდობის ძალებს მთელ მსოფლიოში.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა, როგორც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე, ყველაფერს გააკეთებს, რაც შესაძლებელია, რათა შეასრულოს მისთვის დაკისრებული ამოცანები ჩვენი საერთო საქმის — მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის დიადი საქმის დაცვაში.

ცნობა სხდომის მეორე დღის შესახებ

პრაღა, 28 იანვარი. (საკდესი). გამოქვეყნდა შემდეგი კომუნიკე:

28 იანვარს პრაღაში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მეორე სხდომა.

სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა საკითხებისა და ერთობლივი ღონისძიებებისა, რომლებიც გამომდინარეობენ ვარშავის ხელშეკრულებიდან. მეორე სხდომაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ვ. დავიდი. გამოვიდა აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მარშალი ნე ჟუნ-ჯენი, რომელიც სხდომას ესწრება როგორც მეთვალყურე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან.

სხდომაზე ერთსულოვნად მიღებულ იქნა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაცია. დეკლარაციას ხელს მოაწერენ დღეს 19.00 საათზე პრაღაში, ვალდშტეინის სასახლეში.

გადაწყდა აგრეთვე გამოქვეყნდეს საბოლოო კომუნიკე პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომების შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის

ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა

ამხანაგო თავმჯდომარე, ამხანაგო დელეგატებო,

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც ჩვენმა სახელმწიფოებმა დადეს ვარშავაში გასული წლის მაისში, ითვალისწინებს კონსულტაციების მოწყობას ხელშეკრულების მონაწილეთა შორის ყველა დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხზე, რომლებიც მათს საერთო ინტერესებს შეეხება. ამ მიზნით, აგრეთვე იმ ზოგიერთი სხვა საკითხისა და ღონისძიების განსახილველად, რომლებიც ხელშეკრულების განხორციელებიდან გამომდინარეობენ, მოწვეულია პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ეს სხდომა.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყველა ჩვენმა სახელმწიფომ, ხელმძღვანელობენ რა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებით, ცოტა ღონისძიება როდი მიიღეს იმისათვის, რომ მიეღწიათ საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებისა და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებისათვის, მიუხედავად აგრესიული იმპერიალისტური ძალების წინააღმდეგობისა და სამხედრო ბლოკების შეკოწიწების მათი პოლიტიკისა.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში უდიდეს როლს ასრულებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომლის საერთაშორისო ავტორიტეტი სულ უფრო იზრდება. ამასთან გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ დიდი ჩინელი ხალხი ძტკიცედ დაადგა სოციალისტურ გარდაქმნათა გზას. ცოტა წვლილი როდი შეიტანეს მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების საქმეში სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმაც და, განსაკუთრებით, აზიის ისეთმა დიდმა სახელმწიფომ, როგორიც ინდოეთია.

გასული წლის ივლისში ჟენევაში გამართულმა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირმა დაადასტურა, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოთა თანამშრომლობა რეალური საქმეა, თუ მას საფუძვლად უდგეს ინტერესთა ურთიერთ გათვალისწინება და იგი მშვიდობის განმტკიცებას იწვევს. „ჟენევის სულისკვეთებას“ მხარი დაუჭირეს ყველა ქვეყნის ხალხთა ფართო წრეებში.

მაგრამ, ამხანაგებო, საჭიროა ანგარიში გავუწიოთ იმას, რომ მშვიდობისმოყვარე ძალების წარმატებებმა და საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარმა შენელებამ არ უნდა მოადუნოს ჩვენი სიფხიზლე. ახალი ომის საფრთხე თავიდან აცილებულად არ შეიძლება ჩაითვალოს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს ავანტიურისტული მისწრაფება იმპერიალიზმის აგრესიული წრეებისა, რომელთა შორის უკანასკნელ დროს გაძლიერდა შიში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის გამო.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1954 წლის დამლევს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭომ აზრი გამოთქვა ატომური ომის მზადების სასარგებლოდ. საქმე ამით არ გათავებულა. გასული წლის დეკემბერში ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკმა მოითხოვა ნატო-ს არმიის აღჭურვა ატომური იარაღით, ნატო-ს სამხედრო-საჰაერო ძალების მესამედით გადიდება დასავლეთ ევროპაში, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის დაჩქარება. ამასთან ყურადღებას იქცევს ის, რომ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის განხორციელებაში განსაკუთრებულ მოუთმენლობას იჩენენ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები.

საფრთხე, რომელსაც იწვევენ აგრესიული სამხედრო ბლოკები და გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, გვაიძულებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების მიზნით განვიხილოთ საკითხი ერთობლივ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ ვარშავის ხელშეკრულებიდან და რომელთა მიზანია ღონისძიებათა ფართო კოორდინაცია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვისუნარიანობის გაღიდებისათვის.

ვსახავთ რა ამ ღონისძიებებს, ჩვენ წინანდებურად ვემყარებით იმას, რომ ევროპის ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალება იქნებოდა ევროპის კოლექტიური უშიშროების შექმნა, რომელიც დაემყარებოდა მასში ევროპის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობას, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განსხვავებისა. ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა ყველაზე საარსებო და სასიცოცხლო პრობლემაა ევროპის ხალხებისათვის.

უარყოფენ რა საბჭოთა წინადადებებს ევროპის უშიშროების შესახებ, დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეები ესწრაფვიან იმას, რომ თავიანთ სამხედრო დაჯგუფებებში შეიყვანონ არა მარტო დასავლეთი, არამედ აგრეთვე აღმოსავლეთი გერმანია. რა თქმა უნდა, ასეთი გეგმები ვერ განხორციელდება, რადგან მათ საერთო არა აქვთ რა არც ევროპის უშიშროებასთან, არც გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს გაერთიანებასთან. დროა შეიგნონ ის აშკარა ფაქტი, რომ გერმანიაში არსებობს ორი სახელმწიფო. გერმანიის ერთიანობის აღდგენა არ შეიძლება მიღწეულ იქნას სხვანაირად, თუ არა ორივე გერმანული სახელმწიფოს შეთანხმებით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადება სრულიად გერმანიის საბჭოს შექმნის შესახებ შეესაბამება ამ მიზანს და საბჭოთა მთავრობა სავსებით უჭერს მას მხარს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მთელი გერმანელი ხალხის დემოკრატიულ ძალებთან ერთად წარმოადგენს გერმანიაში მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის დასაყრდენს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცება და დაცვა შესაძლო აგრესიისაგან სასარგებლოა როგორც გერმანელი ხალხის, ისე ევროპის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისათვის. ბუნებრივია, რომ დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნასთან და აგრესიულ ბლოკებში დასავლეთ გერმანიის შეყვანასთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა იღებს ახალ ღონისძიებებს თავისი უშიშროების უზრუნველყოფისათვის. სწორედ ამასთან დაკავშირებით ამას წინათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეროვნული სახალხო არმიის შექმნის შესახებ. ასეთი გადაწყვეტილების საჭიროებას ჩვენ ყველანი სრული ერთსულოვნებით ვაღიარებთ.

საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც ყველა სახელმწიფო, რომლებიც მშვიდობის დაცვასა და განმტკიცებას ესწრაფვიან, დაუცხრომელ ბრძოლას ეწევა შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვისათვის. ჩვენ თანმიმდევრულად ვიცავთ ყველა ქვეყნის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს. ხალხებმა იციან, რომ ჩვენი მთავრობები მათ არ მიიყვანენ უფსკრულის პირას, თავიანთ ქვეყნებს უგუნურად არ განაცდევინებენ ომის საფრთხეს. ჩვენს ამოცანად მიგვაჩნია ის, რომ ხელი შევუწყოთ მშვიდობის განმტკიცებასა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ვიზრუნოთ ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხების კოლექტიური უშიშროების შექმნისათვის.

ჩვენი ქვეყნების ხალხები, რომლებიც დარწმუნებული არიან თავიანთ ძალებში და აღფრთოვანებული არიან დიდი გამარჯვებებით სოციალიზმის მშენებლობაში, თავს არავის დაუშინებენ. ეყრდნობიან რა ყველა ხალხის უძლეველ მისწრაფებას მშვიდობისადმი, თავიანთ გაერთიანებულ და მზარდ ძლიერებასა და დარაზმულობას, ისინი მტკიცედ ახორციელებენ თავიანთ მშვიდობიან შემოქმედებითს პოლიტიკას.

ამის მაგალითი — დასასტურებელია საბჭოთა კავშირის ეფექტიანი ეროვნული — [illegible] ხალხის მატერიალური და სულიერი ძალების უმაგალითო ზრდას. ამასვე მოწმობენ სახალხო სამეურნეო გეგმები სხვა სახელმწიფოებისა, რომელთა ხალხები ახალ საზოგადოებას აშენებენ. ამ გეგმების განხორციელება, უეჭველია, ახალი მძლავრი ფაქტორი გახდება მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ამასთან ერთად ჩვენი ქვეყნების ხალხებს შეგნებული აქვთ, რომ სათანადო დონეზე შენარჩუნება თავდაცვისუნარიანობისა, იმისათვის მზადყოფნისა, რომ სავსებით მომზადებული შევხვდეთ და გავაქარწყლოთ აგრესიული ძალების ყოველგვარი ცდა — დაარღვიონ ჩვენი მშვიდობიანი შრომა, წარმოადგენს მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ყველაზე ეფექტიან გარანტიას.

ჩვენი ღონისძიებების გაერთიანება მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ხელს შეუწყობენ მშვიდობის ძალების შემდგომ განმტკიცებას მთელ მსოფლიოში. ეს, ამასთან ერთად, ხელს შეუწყობს ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნას მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ჩვენი გეგმების განსახორციელებლად, რომლებსაც ჩვენი ხალხებისათვის მოაქვთ ბედნიერება და აყვავება, განამტკიცებენ ყველა ქვეყნის ხალხთა უშიშროებას.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის

ვ. დავიდის გამოსვლა

ვარშავის ხელშეკრულებით დაარსებული პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე ჩვენ იმისათვის შევიკრიბეთ, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ აზრები თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და წამოვაყენოთ ამოცანები შემდგომი პერიოდისათვის.

საბჭოთა კავშირის საშშვიდობო ინიციატივის, ჩვენი ქვეყნების მოქმედების ერთიანობის მეოხებით და მშვიდობისათვის ხალხთა თავდადებული ბრძოლის მეოხებით განვლილ პერიოდში მოხდა ერთგვარი გაუმჯობესება საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაში. ჩვენ უაღრესად მადლობელი ვართ საბჭოთა კავშირისა, რომელიც ხალხებს მიუძღვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში და თავისი დაუღალავი ღონისძიებებით სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევს.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე ნათელი გახდა, რომ არსებობს ფართო შესაძლებლობანი იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს „ცივ ომს“ და გამოინახოს გზები და საშუალებები გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხების გადასაჭრელად მოლაპარაკების გზით.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბელგრადში წარმატებით ჩატარებულ მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის. ასევე ნორმალიზებულ იქნა ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიას შორის და შეიქმნა წინაპირობები მეგობრული და ძმური ურთიერთობის უაღრესად ფართოდ განვითარებისათვის.

ჩეხოსლოვაკია შეუერთდა სახელმწიფო ხელშეკრულებას დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ და ცნო მუდმივი ნეიტრალიტეტი, რომელიც ავსტრიამ გამოაცხადა. ყველა შესაძლებლობა არსებობს იმისათვის, რომ ამ ჩვენს სამხრეთელ მეზობელთან განვითარდეს კეთილმეზობლური ურთიერთობა.

უაღრესად ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისადმი საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების თანმიმდევრული მისწრაფების დიდი წარმატებაა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თექვსმეტი ახალი წევრის მიღება. ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს ის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალ წევრებს შორის არის ჩვენი ოთხი მოკავშირე — ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი და რუმინეთი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლოვდება მომენტი, როდესაც გომინდანელთა გაკოტრებული ხროვა გაძევებულ იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან და როდესაც იქ ჩინეთის კანონიერ აღგილს დაიკავებენ სახელოვანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები.

ჩეხოსლოვაკიელი ხალხი, ისევე როგორც ევროპის ქვეყნების სხვა ხალხები, სისხლხორცეულად დაინტერესებულია ევროპაში კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფით. ჩვენ არაერთხელ გაგვიცხადებია, რომ ვეწინააღმდეგებით ევროპის გაყოფას ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ბლოკებად. დღემდე ამბების განვითარება სავსებით ადასტურებს, რომ მხოლოდ კოლექტიური უშიშროების გზა არის სწორი და შეესაბამება ევროპის ყველა ხალხის ინტერესებს. ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფის მოთხოვნა ყველაზე უფრო აქტუალური ხდება უკანასკნელ დროს ამბების განვითარების თვალსაზრისით. დასავლეთის სახელმწიფოების, განსაკუთრებით შეერთებული შტატების, მმართველი წრეები კვლავ ცდილობენ აღადგინონ „ცივი ომი“ და განაგრძონ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის განხორციელება. ისინი ზრდიან შეიარაღებას განსაკუთრებით ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღის დარგში, აკოწიწებენ აგრესიულ ბლოკებს, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ, ინარჩუნებენ და აფართოებენ თავიანთი სამხედრო ბაზების ქსელს სხვის ტერიტორიებზე, განაგრძობენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და აძლიერებენ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის სამხედრო მომზადებას, რასაც ნათლად მოწმობს ამ ორგანიზაციის საბჭოს უკანასკნელი სხდომა. ისინი ქმნიან ხელოვნურ ბარიერებს, იწვევენ უნდობლობის ატმოსფეროს, აღვივებენ მტრობას ხალხთა შორის იმისათვის, რომ გაამართლონ თავიანთი საომარი მზადება, აძლიერებენ თავიანთ ჩარევას ჩვენი მშვიდობისმოყვარე ქვეყნების საშინაო საქმეებში, როგორც ამას მოწმობს სხვადასხვა ეგრეთწოდებული „მიმართვები“, ფეთქებად მექანიზმიანი ბურთების შემოგზავნა და სხვა ამგვარი მოქმედება.

დასავლეთის სახელმწიფოები აცოცხლებენ საომარ ფსიქოზს და ცდილობენ დაამინონ ხალხები, რათა ხელოვნურად შეინარჩუნონ აგრესიული ბლოკები, რომლებსაც თავს ახვევენ ხალხებს მათი საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ. ეს ცდები სულ უფრო მეტ მარცხს განიცდის.

„ძალის პოზიციისა“ და „ცივი ომის“ პოლიტიკა სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას იწვევს მსოფლიოს ფართო საზოგადოებრივობაში. ამას მოწმობს აგრეთვე ბევრი სახელმწიფოს მზარდი მისწრაფება განახორციელონ ნეიტრალიტეტის და აგრესიულ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკა. ჩვენ მივესალმებით და მხარს ვუჭერთ ისეთ მისწრაფებებს, რომლებიც ხელს უწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ბოჭავენ აგრესიული ჯგუფების საქმიანობას და მათს შემდგომ გაფართოებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვარშავის ხელშეკრულებით ჩვენს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესაბამისად ჩვენი მთავარი ამოცანა იქნება კვლავაც ვესწრაფოდეთ კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას, რომელიც დამყარებული იქნება ევროპის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობაზე, მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების მიუხედავად. ჩეხოსლოვაკიის მთავრობა სავსებით ემხრობა საბჭოთა კავშირის წინადადებებს იმის შესახებ, რომ ევროპაში არსებული სახელმწიფოთა დაჯგუფებანი შეიცვალოს სრულიად ევროპის უშიშროების სისტემით. თუ ამ მიზნის მიღწევა ახლავე არ შეიძლება, აუცილებელი იქნება ვეძებოთ ყველა შესაძლებლობა, რომელიც თანდათანობით უზრუნველყოფს სრულიად ევროპის უშიშროებას. უდავოა, რომ ამ გზაზე მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა სახელმწიფოების მიერ ურთიერთვალდებულებების აღება — არ გამოიყენონ ერთიმეორის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალები. ჩვენ სრული ყურადღებით მოვეკიდებით ყველა წინადადებას, რომელიც მიგვაახლოებდა ამ მიზანთან.

სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნა მნიშვნელოვნად გააადვილებდა აგრეთვე დემოკრატიულ საწყისებზე გერმანიის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას. გერმანიის გაერთიანების გზაზე ამჟამად მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს პოლიტიკა დასავლეთის სახელმწიფოებისა, რომლებიც ახდენენ დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციას თავიანთ აგრესიულ ჯგუფებათა ფარგლებში.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გაძლიერების წინაშე გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მშრომელთა მიღწევების დასაცავად, მათი მშვიდობიანი შრომის უზრუნველსაყოფად და თავისი უშიშროების ინტერესებისათვის შექმნა ეროვნული სახალხო არმია. ჩეხოსლოვაკიის მთავრობა სავსებით ეთანხმება ამ ღონისძიებას და მასში ხედავს მნიშვნელოვან წვლილს თავისი საკუთარი უშიშროების საქმეშიც, მშვიდობის განმტკიცებისა და ევროპის ხალხთა უშიშროების განმტკიცების საქმეში.

ჩვენ კვლავ ვაცხადებთ, რომ გვსურს კეთილმეზობლურად ვიცხოვროთ მთელ გერმანელ ხალხთან. მჭიდრო მეგობრული და მოკავშირული ურთიერთობა ჩვენს რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში. თვით ცხოვრება მოითხოვს აგრეთვე ურთიერთობის მოწესრიგებას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის. ჩვენ გვინდა ვითანამშრომლოთ გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან მშვიდობიან პრინციპებზე და ორივე ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ჩვენმა მოკავშირე ქვეყნებმა ვარშავის ხელშეკრულებით დაამტკიცეს, რომ მათი მისწრაფება იქნება მიღებულ იქნას ეფექტიანი ზომები შეიარაღების საყოველთაო შემცირებისათვის და ატომური, წყალბადის და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვისათვის.

ჩვენი მოკავშირე ქვეყნები, რომლებსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, თავიანთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესაბამისად არ იშურებენ ძალღონეს ძნელ მოლაპარაკებაში, რომლის მიზანია განიარაღების მიღწევა, და დგამენ აგრეთვე პრაქტიკულ ნაბიჯებს.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ საბჭოთა კავშირის მაგალითის მიხედვით — ისევე როგორც დანარჩენმა მოკავშირე ქვეყნებმა — შიიღო ამ დარგში მნიშვნელოვანი კონკრეტული ღონისძიებანი. ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დადგენილების საფუძველზე ჩვენი შეიარაღებული ძალების რაოდენობა შემცირებულ იქნა 34 ათასი კაცით, ხოლო მიმდინარე წლის ბიუჯეტში თავდაცვის მიზნისათვის გამოყოფილი ასიგნება შემცირებულ იქნა გასულ წელთან შედარებით.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სახელმწიფოებს შორის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, განვითარდეს ურთიერთობა, რომელიც დამყარებული იქნება სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პატივისცემის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპებზე.

ჩვენ მივესალმებით იმ ფაქტს, რომ ქვეყნების სულ უფრო მეტი რაოდენობა ხელმძღვანელობს საერთაშორისო ურთიერთობის ცნობილი ხუთი პრინციპით, რომლებიც წამოყენებული იყო ინდოეთის რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთობლივ განცხადებაში და დადასტურებულ იქნა ბანდუნგის ისტორიულ კონფერენციაზე. ჩეხოსლოვაკია სრულ მორალურ-პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევს აზიისა და აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ეკონომიურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც ამით დაინტერესებული არიან, ჩვენ ვუწევთ დახმარებას განვითარებაში.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად დაარსებული პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა

3. დავიდის გამოსვლის დასასრული

განვლილ პერიოდში ჩეხოსლოვაკიამ არსებითად გააფართოვა თავისი დამოკიდებულება ქვეყნებთან მსოფლიოს ყველა ნაწილში. კერძოდ, ხელსაყრელად ვითარდება ჩვენი ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა. ჩვენ განვაახლეთ ბევრი ტრადიციული კავშირურთიერთობა და ვამყარებთ ახალს.

ჩვენი გამოცდილება მოწმობს, თუ რაოდენ დიდია სახელმწიფოთა შორის ყოველმხრივი კავშირის განვითარების შესაძლებლობანი. ხალხთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობისა და გაგების ინტერესებისათვის ჩვენ კვლავაც გავაფართოებთ და გავაღრმავებთ ამ ურთიერთობას.

პატივცემულო ამხანაგებო! ამბების მსვლელობა ადასტურებს, რომ პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, სწორია და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს. ჩვენ, მჭიდროდ დარაზმულნი, ინიციატივიანად და ეფექტიანად განვახორციელებთ ღონისძიებებს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და სადავო საერთაშორისო საკითხების გადაჭრის მიზნით.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობა და ხალხი კვლავაც თანმიმდევრულად შეასრულებენ ვარშავის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა ვალდებულებას. საბჭოთა კავშირისა და ყველა დანარჩენი მოძმე ქვეყნის საერთო ძალის შეგნება ჩვენს ხალხს განუმტკიცებს იმედსა და საკუთარი თავის რწმენას და აღაფრთოვანებს მას ყოველდღიურ ნაყოფიერ მუშაობაში.

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების ერთგული ჩვენი ხალხი თავის წვლილს შეიტანს მთელი ჩვენი მძლავრი სოციალისტური ბანაკის განმტკიცების საქმეში, სოციალისტური ბანაკისა, რომელსაც სათავეში უდგას უძლეველი საბჭოთა კავშირი, ძლულ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისა და განმტკიცების საქმეში.

დასკვნითი კომუნიკე

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომების გამო

1956 წლის 27-28 იანვარს პრაღაში მიმდინარეობდა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვარშავაში 1955 წლის 14 მაისს დადებული ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომები.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს როგორც წარმომადგენლებმა:

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მეჰმეთ **შეხუმ**, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სახალხო თავდაცვის მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა ბექირ **ბალუკუმ;**

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ რაიკო **დამიანოვმა,** სახალხო თავდაცვის მინისტრმა არმიის გენერალმა პეტრე **პანჩევსკიმ;**

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანდრაშ **ჰეგედიუშმა,** თავდაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა იშტვან **ბატამ;**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვალტერ **ულბრიხტმა,** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და ეროვნული თავდაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა ვილი **შტოფმა;**

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იოზეფ **ცირანკევიჩმა,** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და ეროვნული თავდაცვის მინისტრმა პოლონეთის მარშალმა კონსტანტინე **როკოსოვსკიმ;**

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტოიკა **კივუმ,** შეიარაღებული ძალების მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა ლეონტინ **სელეჟანმა;**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა **ვ. მ. მოლოტოვმა,** თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა **გ. კ. ჟუკოვმა;**

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა — მთავრობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და ეროვნული თავდაცვის მინისტრმა არმიის გენერალმა ალექსი **ჩეპიჩკამ,** საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაცლავ **დავიდმა;**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან მეთვალყურედ მონაწილეობა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მარშალმა **ნე ჟუნ-ჯენმა;**

სხდომებს თავმჯდომარეობდა ალბანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეჰმეთ **შეხუ.**

გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ **ი. ს. კონევის** წინადადებით განხილულ და დამტკიცებულ იქნა დებულება გაერთიანებული სარდლობის შესახებ და გადაწყვეტილ იქნა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები.

მიღებულ იქნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადება იმის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის შექმნის შემდეგ მისი შეიარაღებული კონტინგენტები შეყვანილ იქნება გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში. აგრეთვე გადაწყდა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი დადგენილი წესის შესაბამისად იქნება ერთ-ერთი მოადგილე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლისა.

ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს, რომ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის მოეწყოს კონსულტაციები საერთაშორისო საკითხებზე, რომლებიც მათს საერთო ინტერესებს ეხება, პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა განიხილა საერთაშორისო მდგომარეობა და გამოიტანა დასკვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციაში, რასაც ხელი მოაწერეს ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა. დეკლარაციის ტექსტი ცალკე ქვეყნდება.

განხილულ იქნა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მუშაობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტი შეიკრიბება საჭიროების მიხედვით, მაგრამ ორჯერ მაინც წელიწადში, რათა განიხილოს ვარშავის ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოშობილი საკითხები.

სხდომათა თავმჯდომარენი კალენდარული წლის განმავლობაში რიგრიგად იქნებიან კომიტეტში წარმოდგენილი თვითეული სახელმწიფოს წარმომადგენლები.

პოლიტიკურ საკონსულტაციო კომიტეტთან იქმნება დამხმარე ორგანოები, რომელთა ადგილსამყოფელია ქ. მოსკოვი:

ა) მუდმივი კომისია, რომლის ამოცანაა შეიმუშაოს რეკომენდაციები საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე;

ბ) გაერთიანებული სამდივნო, რომელშიც შედიან ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლები.

ხელი მოაწერეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციას

პრაღა, 28 იანვარი. (საკუთარი). დღეს, 28 იანვარს, პრაღის ვალდშტეინის სასახლეში ხელი მოაწერეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციას.

დეკლარაციას ხელი მოაწერეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, რომლებიც ესწრებოდნენ პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომებს.

დეკლარაციის ხელმოწერას დაესწრნენ: ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ზაპოტოცკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვ. შიროკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნოვოტნი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მარშალმა ნე ჟუნ-ჯენმა გააკეთა შემდეგი განცხადება:

ძვირფასო ამხანაგებო!

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის თათბირი სრული წარმატებით დაგვირგვინდა. ნება მიბოძეთ მხურვალედ მოგილოცოთ.

ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ მოსკოვისა და ვარშავის თათბირების შემდეგ პრაღის თათბირის გადაწყვეტილებებმა კვლავ ცხადყვეს თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მტკიცე გადაწყვეტილება და გულწრფელი სურვილი დაიცვან მშვიდობა და უშიშროება ევროპაში. ეს გადაწყვეტილებანი აგრეთვე მოწმობენ საბჭოთა კავშირის მეთაურობით მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის მტკიცე დარაზმულობასა და სრულ ერთსულოვნებას საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საქმეში. ასეთი დიადი ერთიანობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების მთავარი საწინდარია.

ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ყველა რეალური ღონისძიება, რომლებიც თათბირმა შეიმუშავა ახლანდელი საერთაშორისო ვითარების სწორი ანალიზის საფუძველზე, არა მარტო სავსებით შეესაბამება ევროპის ქვეყნების ხალხთა ინტერესებს, არამედ სავსებით შეესაბამება აგრეთვე მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა ინტერესებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ პრაღის თათბირის გადაწყვეტილებანი და წინადადებანი უდიდესი წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების საქმეში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

მე დავალებული მაქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით განვაცხადო, რომ ჩვენი ქვეყნის მთავრობა და ხალხი სავსებით უჭერენ მხარს „ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციას“, რომელსაც ეს-ეს არის მოაწერეს ხელი, და თათბირის გადაწყვეტილებას იმ საკითხზე, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიამ მონაწილეობა მიიღოს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დეკლარაციაში წამოყენებული წინადადებანი ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საკითხზე კიდევ უფრო დარაზმავენ და გააერთიანებენ ევროპისა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარულ ძალებს, რათა ჩაფუშონ აგრესიული ძალების მზაკვრული ზრახვები და ამით ხელი შეუწყონ ბრძოლას აზიისა და მსოფლიოს სხვა რაიონებში ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის.

ბანცხადება მეთვალყურისა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მარშალ ნე ჟუნ-ჯენისა

ამხანაგო თავმჯდომარე! ამხანაგო დელეგატებო!

ნება მიბოძეთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით მხურვალედ ვუსურვო წარმატება ამ თათბირს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას უაღრესად საჭიროდ და დროულად მიაჩნია მოწვევა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ რვა სახელმწიფოს 1955 წლის 14 მაისის ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ამ თათბირისა იმ მიზნით, რომ მოხდეს აზრთა ურთიერთ გაზიარება ახლანდელი საერთაშორისო ვითარებისა და შემდგომი ამოცანების შესახებ და შემუშავებულ იქნას შესაბამისი გადაწყვეტილებანი. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ამ გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა ექნება მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

მშვიდობისმოყვარე ქვეყნები და ხალხები გულგრილად ვერ მოეკიდებიან ეგრეთწოდებულ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას, რომელიც გამოიხატება იმით, რომ აგრესიული ბლოკი აძლიერებს გამალებულ შეიარაღებას, ამზადებს ომს და ისწრაფვის თავს მოახვიოს სხვა ხალხებს თავისი ნება. ამასთან დაკავშირებით მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების უშიშროების ინტერესებისათვის სავსებით აუცილებელია ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შემდგომი გაძლიერება, ხელშეკრულების მონაწილეთა შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების განმტკიცება. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მოვლენას, რომ გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გადაწყვიტა შექმნას თავისი სახალხო არმია და მონაწილეობა მიიღოს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების გაერთიანებული სარდლობის შეიარაღებულ ძალებში.

ყველასათვის ცნობილია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა, გერმანიის მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის ძალების ბურჯია. იგი გადაჭრით ემხრობა გერმანიის საკითხის გადაწყვეტას ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისა და გერმანელი ხალხის ინტერესების შესაბამისად, ცდილობს მიიღწიოს იმას, რომ გერმანია გახდეს ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფო. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები და მათი მომხრეები გაძლიერებით აიარაღებენ დასავლეთ გერმანიას, აბამენ მას ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში და აშკარად ცდილობენ შეიყვანონ მთელი გერმანია ამ აგრესიულ ორგანიზაციაში დასავლეთ გერმანიის მიერ დემოკრატიული გერმანიის ანექსიის გზით. ასეთ პირობებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებანი მისი უშიშროების ყოველმხრივ უზრუნველყოფისა და მშრომელთა მონაპოვრების დაცვის დარგში აუცილებელი საჭიროებით არის ნაკარნახევი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და ხალხი სავსებით უჭერენ მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გადაწყვეტილებას სახალხო არმიის შექმნისა და გაერთიანებული სარდლობის შეიარაღებულ ძალებში მონაწილეობის შესახებ, მიიჩნიათ რა, რომ ეს არა მარტო შეესაბამება გერმანელი ხალხის ინტერესებს, არამედ აგრეთვე შეესაბამება ევროპის კოლექტიური უშიშროების ინტერესებს, რომ ეს იქნება დიდი წვლილი აგრესიის წინააღმდეგ, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საქმეში.

1955 წლის დეკემბერში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლის მეთაურობით ეწვია ჩინეთს; გულწრფელი და მეგობრული მოლაპარაკების შედეგად დადებულ იქნა ხელშეკრულება ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. ჩინელი ხალხი გულწრფელად თანაუგრძნობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანელი ხალხის ბრძოლას გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისა-თვის და მხარს უჭერს ამ ბრძოლას. გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების საკითხის გადაჭრა თვით გერმანელი ხალხის საქმეა. ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა არსებული ორი გერმანული სახელმწიფოს დაახლოება.

გასულ წელს იმ უდიდეს ღონისძიებათა მეოხებით, რომლებიც განახორციელეს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკმა, რომელსაც სათავეში საბჭოთა კავშირი უდგას, და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებმა და ხალხებმა, საერთაშორისო დაძაბულობა რამდენადმე შენელდა, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს მხარს უჭერს სულ უფრო მეტი ქვეყანა და ხალხი, ბანდუნგისა და ჟენევის სულისკვეთება სულ უფრო პოპულარული ხდება, ხოლო ეგრეთწოდებული „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა და „ცივი ომის“ პოლიტიკა ზედიზედ მარცხდება. ეს იმას მოწმობს, რომ აგრესიის პოლიტიკა და აგრესიული ბლოკის ომის გეგმები შეიძლება ჩაიფუშოს და ჩაიფუშება, თუ მშვიდობისმოყვარე ქვეყნები და ხალხები შეუპოვრად იბრძოლებენ მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

მაგრამ ამერიკის აგრესიულ წრეებს და მათს მომხრეებს არა სურთ შეურიგდნენ თავიანთ დამარცხებებს. ისინი კვლავ ახორციელებენ თავიანთ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას, რომელიც უკვე დიდიხანია გაკოტრდა, ეწევიან გამალებულ შეიარაღებას და ემზადებიან ომისათვის, ახორციელებენ კოლონიალიზმის აგრესიულ გეგმებს, ემუქრებიან მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებსა და ხალხებს და უწყობენ მათ პროვოკაციებს. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა კვლავ წამოაყენეს „განთავისუფლების“ იგივე უბადაღებული პოლიტიკა, გამოვიდნენ ეგრეთწოდებული „საშობაო მიმართვებით“, რომლებიც უხეში ჩარევაა ევროპის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების საშინაო საქმეებში. ამასთან დალესი ცდილობს დაეშალოს ჩინეთის და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებს ატომური ომით და აშკარადაც კი განაცხადა, რომ ამერიკის ახლანდელი მთავრობის პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ მთელი მსოფლიო „ომის ზღვარზე“ მიიყვანოს.

ეს იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას; დაძაბულობა მათ იმისთვის ესაჭიროებათ, რომ შეიარაღების გაფართოებისა და ომის მომზადების გზით უზრუნველყონ მონოპოლისტებისათვის მაქსიმალური მოგება და გამონახონ საბაბი ამერიკის აგრესიისა და ექსპანსიის გასამართლებლად.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ამზადებენ ომს და ახორციელებენ აგრესიას ეგრეთწოდებული „კომუნიზმის საფრთხისაგან“ დაცვის აბრით. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მახვილი ომისა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ამზადებენ, მიმართულია უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის, ჩინეთის და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის წინააღმდეგ. მაგრამ მათ არასოდეს არ დავუშინებივართ და ვერ დაგვაშინებენ ომის მუქარით. ჩინელმა ხალხმა საბოლოოდ განდევნა კონტინენტური ჩინეთიდან ამერიკის აგრესიული ძალები და ჩანკაი-შის მოსყიდული ხროვა, რომელსაც ისინი უჭერენ მხარს. კორეელმა და ჩინელმა ხალხებმა აგრეთვე სერიოზული გაკვეთილი მისცეს აგრესორებს. სავსებით ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ვერასოდეს ვერ წამოაჩოქებენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებს, ბანაკისა, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი. „კომუნიზმის საფრთხისაგან“ დაცვის აბრით ამერიკის იმპერიალისტური წრეები თაქტიურად ეწევიან აგრესიას მსოფლიოს სხვა რაიონების ყველა ქვეყნის წინააღმდეგ, რაც განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულებას პოულობს მათს პოლიტიკაში აზიისა და აფრიკის ქვეყნების მიმართ.

ამერიკის შეერთებული შტატები მუდამ ახორციელებენ თავიანთ კოლონიზატორულ პოლიტიკას აზიისა და აფრიკის ქვეყნების მიმართ, ამასთან ცდილობენ შეინარჩუნონ და გააძლიერონ თავიანთი ბატონობა ამ ქვეყნების ხალხებზე. იყოლიონ ისინი დამონებულ და ჩამორჩენილ მდგომარეობაში პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მხრივ, აიძულონ ისინი იმპერიალისტებმა ნებას და გადააქციონ ისინი იმპერიალისტების მიერ აგრესიული ომის გაჩაღების იარაღად. ამერიკის აგრესიულ წრეებს დიდიხანია ოკუპირებული აქვთ იაპონია, ცდილობენ ააღორძინონ იაპონიის მილიტარიზმი და გადააქციონ იაპონია თავიანთ სამხედრო ბაზად; ისინი ხელს უშლიან კორეის საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტას; სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებთან შეთანხმებით ფუშავენ ჟენევის შეთანხმებას ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის შესახებ; მათს შეიარაღებულ ძალებს ოკუპირებული აქვთ ჩინეთის ტერიტორია — ტაივანი; მათ შეაკოწიწეს აგრესიული ბლოკი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისათვის; სხვა კოლონიურ სახელმწიფოებთან ერთად ისინი არღვევენ არაბთა ქვეყნების სუვერენიტეტს შუა და ახლო აღმოსავლეთში; ისინი ყველგან ახშობენ მოძრაობას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის; ისინი მხარს უჭერენ ინგლისს ბაღდადის ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნის საქმეში, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხები და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხები. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები აშკარად უჭერენ მხარს დანაშაულებრივ კოლონიურ რეჟიმს. მაგალითად, დალესი აცხადებს, რომ ინდოეთის ტერიტორია გოა და ჩინეთის ტერიტორია მაკაო პორტუგალიის „ოლქებია“. რაც შეეხება ეგრეთწოდებულ ეკონომიურ და ტექნიკურ „დახმარებას“, რომელსაც აძლევენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები სთავაზობენ აზიისა და აფრიკის ბევრ ქვეყანას, მას ნამდვილად მიზნად აქვს პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო პრივილეგიების მიღება იმ ქვეყნებში, რომლებიც ამ „დახმარებას“ იღებენ, ამ ქვეყნებისადმი პოლიტიკური კონტროლის გაძლიერება და მათი ეკონომიური დამონება და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის დაქვემდებარება. ამიტომ გასაკვირველი არაფერია იმაში, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკა სულ უფრო ძლიერ წინააღმდეგობას იწვევს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა მხრივ.

იმისათვის, რომ დაძლიონ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა უკმაყოფილება და წინააღმდეგობა, ხელი შეუშალონ ამ ხალხებს დაამყარონ მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ჩინეთთან და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებთან, ამერიკის აგრესიული წრეები და მათი თანამონაწილეები უკანასკნელ ხანს მიმართავენ შანტაჟს, თითქმის ყველგან აზიისა და აფრიკის ქვეყნებში კომუნიზმის ვითომდა „საფრთხისა და შიშის“ შესახებ, ცდილობენ დააშინონ და მოატყუონ ეს ქვეყნები. მაგრამ აზიისა და აფრიკის ხალხებმა თავიანთი საკუთარი ისტორიის მაგალითით და ყოველდღიური გამოცდილებით იციან ჭეშმარიტება, რომელიც ამ სიცრუის იქით იმალება. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხები, რა თქმა უნდა, არ გაებმებიან იმპერიალისტთა მახეში და უარს არ იტყვიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე. იმპერიალისტთა მუქარა მათ ვერ შეაშინებს. აზიისა და აფრიკის ხალხებმა, რომლებიც იღვიძებენ, უკვე შეიგნეს, რომ თუ დაიცავენ ერთიანობას და აწარმოებენ შეუპოვარ ბრძოლას, კოლონიური ბორკილი დამსხვრეულ იქნება და მსოფლიოში ვერავითარი ძალა ვერ შეუშლის მათ ხელს მოიპოვონ გამარჯვება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული დამოუკიდებლობისათვის აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა ბრძოლა სამართლიანი ბრძოლაა, იგი უდიდესი წვლილია საყოველთაო მშვიდობისა და პროგრესის საქმეში. მათს ბრძოლას თანაგრძნობით ხვდებოდნენ და შეხვდებიან და მხარს დაუჭერენ სოციალიზმის ბანაკის ყველა ქვეყანა და მთელი მსოფლიოს ხალხები. კოლონიზატორთა ეპოქა უკვე სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს.

ამხანაგებო! ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა განუხრელად ახორციელებს მშვიდობის დაცვის პოლიტიკას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ევროპის მშვიდობა განუყოფელია აზიის მშვიდობისაგან. ექვსასმილიონიანი ჩინელი ხალხი სამუდამოდ შეუკავშირდა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებს, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის და ყველა ქვეყნის ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში.

გაითვალისწინა რა ახალი ცვლილებანი საერთაშორისო ვითარებაში, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტი შეიკრიბა 1956 წლის დამდეგს ამ თათბირზე აზრების ურთიერთ გასაზიარებლად და გადაწყვეტილებათა მისაღებად საერთაშორისო მდგომარეობისა და უახლესი ამოცანების შესახებ, თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მეგობრული თანამშრომლობისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების შესახებ.

ყოველივე ამაზე [illegible] აქვს. ჩინეთის [illegible] მთავრობა [illegible] თათბირი [illegible] ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეზე, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაზე.

პრაღიდან გაემგზავრნენ ვ. მ. მოლოტოვი და გ. კ. ჟუკოვი

პრაღა, 29 იანვარი. (საკუთარი სპეც. კორ). დღეს პრაღიდან გაფრინდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომებში.

რუზის აეროდრომზე ვ. მ. მოლოტოვი და გ. კ. ჟუკოვი გააცილეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ვ. შიროკიმ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ნოვოტნიმ, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ა. ჩეპიჩკამ, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ზ. ფირლინგერმა, ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებმა.

ვ. მ. მოლოტოვი და გ. კ. ჟუკოვი გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინმა, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ს. კონევმა, არმიის გენერალმა ა. ი. ანტონოვმა, ჩეხოსლოვაკიაში სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომლებმა, პრესის წარმომადგენლებმა.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ჰიმნები.

სსრ კავშირის წარმომადგენლები დაბრუნდნენ პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის სხდომიდან

29 იანვარს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად დაარსებული პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის სხდომიდან მოსკოვში დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, აგრეთვე მათი თანმხლები პირები. (საკ-დესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. ვ. ჭიჩაქაძის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეოთხე მოწვევის მეორე სესია მუშობას შეუდგა იმ შესანიშნავ ისტორიულ დღეებში, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება და ერთსულოვნად იწონებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს, რომლის განხორციელებაც ახალი დიდი ნაბიჯი იქნება კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობამ, რომელმაც ამას წინათ დაამთავრა მუშაობა, შეაჯამა საქართველოს მშრომელთა შესანიშნავი მიღწევები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, ნათელყო მათი მონოლითური დარაზმულობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ მიღებული სოციალისტური სახელმწიფოს 1956 წლის ბიუჯეტი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებასთან ერთად ითვალისწინებს საქართველოს სსრ ეკონომიკის ახალ მძლავრ ზრდასა და განმტკიცებას. ამით მკაფიო გამოხატულებას პოულობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! წინასწარი მონაცემებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი 1955 წელს შესრულებულია შემოსავლის ნაწილში 102 პროცენტით, ხოლო გასავლის ნაწილში 101,3 პროცენტით. შემოსავალმა გასავალს 19.731 ათასი მანეთით გადააჭარბა. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე 1955 წლის ადგილობრივი ბიუჯეტებიც.

რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების წარმატებით შესრულებას დიდად შეუწყო ხელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ბიუჯეტის შედგენა-დამტკიცებისა და შესრულების დარგში ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების შესახებ მონაცემები ნათლად ასახავენ საქართველოს მშრომელთა მიერ 1955 წელს მოპოვებულ წარმატებებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

მეხუთე ხუთწლედში რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 71,5 პროცენტით, გასული წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდა 105 პროცენტით, აქედან საკავშირო მრეწველობისა 102 პროცენტით, ხოლო რესპუბლიკური მრეწველობისა — 106 პროცენტით.

მიღწეულ იქნა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა. წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტი ჩაბარდა სახელმწიფოს პური, ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ყურძენი, ხორცი, რძე და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები, საგრძნობლად გაიზარდა საქონელბრუნვა, გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა შემოსავალი.

1955 წელს პროდუქციის გამოშვებისა და თვითღირებულების შემცირების სახელმწიფო დავალებანი და თავიანთი ვალდებულებანი ბიუჯეტის წინაშე წარმატებით შეასრულეს სასურსათო საქონლის მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის, ვაჭრობის, საბჭოთა მეურნეობების და მთელ რიგ სხვა სამინისტროთა საწარმოებმა.

საბიუჯეტო კომისიას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში მიღწეული დადებითი შედეგები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ცალკეული სამინისტროებისა და საწარმოების ხელმძღვანელები სათანადო ეკონომიური ეფექტიანობით რომ იყენებდნენ მათს განკარგულებაში მყოფ მატერიალურ და ფულად სახსრებს, მტკიცედ იცავდნენ მომჭირნეობის რეჟიმს მეურნეობაში.

გასული წლის მუშაობის მაგალითები გვიჩვენებენ, რომ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს სერიოზული დასკვნების გაკეთება მოუხდებათ ამ მიმართულებით.

როგორც ცნობილია, 1955 წელს თევზჭერისა და მისი წარმოების გაუმჯობესების მიზნით ქ. ფოთში შეიქმნა თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველო, რომელსაც მნიშვნელოვანი დამატებითი სახსრები მიეცა და აღჭურვილ იქნა სათანადო თევსაჭერი იარაღებით.

მოსალოდნელი იყო, რომ სამმართველოს დაახლოება თევზსაჭერის ბაზასთან და მისთვის შექმნილი პირობები უზრუნველყოფდა რესპუბლიკაში თევზის მრეწველობის საქმის საგრძნობ გაუმჯობესებას. სამწუხაროდ, 1955 წლის მუშაობის შედეგები საწინააღმდეგო სურათს იძლევა. გასულ წელს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ჩაიშალა და თევზჭერა კიდევაც შემცირდა 1954 წელთან შედარებით.

საჭიროა სამმართველოს ხელმძღვანელობამ მკვეთრად გარდაქმნას მუშაობა, ეფექტიანად გამოიყენოს ფულადი სახსრები, საწარმოო სამუალებანი და უზრუნველყოს რესპუბლიკის მოსახლეობა თევზის პროდუქციით.

გასულ წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე აღინიშნა საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და სხვა მშენებელ ორგანიზაციათა არადამაკმაყოფილებელი მუშობა.

მიუხედავად იმისა, რომ 1955 წელს ერთგვარად გაუმჯობესდა მშენებელ ორგანიზაციათა მუშობა და ცალკეულმა საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებმა გადაჭარბებით შეასრულეს 1955 წლის დავალებანი, ჯერ კიდევ აქვს ადგილი მშენებლობის დაუშვებელ გაჭიანურებას და მისი ღირებულების გაძვირებას.

გასულ წელს კვლავ ზარალიანად მუშაობდნენ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს და სხვა უწყებათა საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციები.

დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების დამტკიცების არსებული პრაქტიკა.

ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით გასულ წელს მშენებლობის გეგმები შეცვლილ იქნა 9-ჯერ, ხოლო ადგილობრივი მრეწველობის და საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროებისა ხაზით — 8-ჯერ.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წელს საგრძნობლად იზრდება კაპიტალური დაბანდებანი ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ეს გარემოება ავალდებულებს სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს განუხრელად გაატარონ ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებანი, გადაჭრით გააუმჯობესონ მშენებლობის ორგანიზაცია, ფართოდ გამოიყენონ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები, თავი დააღწიონ სახსრების დაქუცმაცებას და დაქსაქსვას მრავალრიცხოვან ობიექტებზე, გაუმჯობესონ მშენებლობის ხარისხი და დაწესებულ ვადებში დაამთავრონ იგი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა ზარალიან საწარმოთა შემცირებისა და უახლოეს ხანში მათი ლიკვიდაციის საჭიროება. მიუხედავად ამისა, 1955 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით ზარალით მუშაობდა საწარმოთა დიდი რაოდენობა.

ჯერ კიდევ არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების გაფლანგვა-განიავების, უნაყოფო და უყაირათო ხარჯების გაწევის შემთხვევები.

სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელებმა საგრძნობლად უნდა გააუმჯობესონ შიდასამეურნეო კონტროლი, გადაჭრით გაძლიერონ ბრძოლა ფულადი და მატერიალური სახსრების გაფლანგვა-განიავებისა და მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენების წინააღმდეგ და დაამყარონ მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგი ამ საქმეში.

საბიუჯეტო კომისიას მიაჩნია, რომ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები ჯერ კიდევ არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემცირების საკითხებს, ხოლო ამ მხრივ არც საფინანსო ორგანოები ახორციელებენ ქმედითს ღონისძიებებს.

რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, აგრეთვე ადგილობრივმა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა 1955 წელს მუშაკთა მივლინებებზე თითქმის ხუთი მილიონი მანეთი დახარჯეს. ამავე დროს არსებული მასალები ადასტურებენ, რომ ხშირ შემთხვევაში ეს სახსრები სათანადო ეფექტიურობით არ არის გამოყენებული. საჭიროა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა 1956 წელს გადამჭრელი ღონისძიებები განახორციელონ სამმართველო აპარატის გაიაფებისა და გამარტივებისათვის, მნიშვნელოვნად შეამცირონ მათი შენახვის ხარჯები.

1956 წელს ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების მოცულობა განსაზღვრულია 1.651,5 მილიონი მანეთით, რაც რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის 70,0 პროცენტს შეადგენს. ამ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის გეგმების დროულად და მთლიანად შესრულებას.

1955 წელს ადგილობრივი საბჭოების მთელმა რიგმა აღმასკომებმა უზრუნველყვეს ბიუჯეტის შესრულების პროცესში დამატებითი შემოსავლის მიღება და ამ თანხების წარმართვა მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ასე მოხდა ქ. თბილისში, ქ. გორში, მახარაძის, ლანჩხუთის, სიღნაღის, წითელწყაროს, ამბროლაურის, ცხაკაიას და სხვა რაიონებში.

ამავე დროს უკანასკნელ წლებში ზოგიერთ რაიონში არ სრულდება შეშისაღების გეგმები და დაუფარანსებელი რჩება აუცილებელი ღონისძიებანი.

გასულ წელს მთლიანად ვერ იქნა გამოყენებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე გათვალისწინებული მნიშვნელოვანი სახსრები. განსაკუთრებით დიდი თანხები დარჩათ აუთვისებელი განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის სამინისტროს დაწესებულებებს.

ამხანაგო დეპუტატებო! დეტალურად განიხილა რა შემოსავალ-გასავლის ყველა მუხლი, აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა საფინანსო გეგმები და ხარჯთაღრიცხვები, საბიუჯეტო კომისია წინადადებას შემოაქვს დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული თანხებით, შემდეგი შესწორებით:

გადიდდეს შემოსავალი საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მოგების ანარიცხებიდან 3 მილიონი მანეთით, მათ შორის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა ხარჯზე 2.550,0 ათასი მანეთით, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა ხარჯზე — 230 ათასი მანეთით და საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა ხარჯზე — 220 ათასი მანეთით.

ეს შესწორებანი შეტანილია საწარმოებში ნედლეულის, მასალების და მოწყობილობის უკეთესად გამოყენების გათვალისწინების და ხსენებულ სამინისტროთა შემოსავალ-გასავლის ბალანსებში გაანგარიშებათა დაზუსტების შედეგად.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა, რუსთავის, გორის, ჭიათურის, ფოთის საქალაქო და დმანისის, გურჯაანის, მახარაძის, ჩოხატაურის და წულუკიძის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა თხოვნით მიმართეს საბიუჯეტო კომისიას ზოგიერთი შემოსავლის შემცირებისა და მთელ რიგ ღონისძიებებზე დამატებითი სახსრების გამოყოფის შესახებ.

გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის საჭირო სახსრებზე ძირითადი მოთხოვნილებანი გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში, აგრეთვე ისიც, რომ ღონისძიებანი, რომლებზეც მოთხოვნილია დამატებითი თანხები, შესაძლოა განახორციელებულ იქნას ბიუჯეტის შესრულების პროცესში, საბიუჯეტო კომისიამ შესაძლებლად ვერ ცნო ბიუჯეტის გასავლის ნაწილში ცვლილებების შეტანა და გადაწყვიტა ეს საკითხები განსახილველად გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საბიუჯეტო კომისია მოახსენებს სესიას, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის სრული შესაბამისობით და წინადადება შემოაქვს დამტკიცდეს იგი შემოსავლის ნაწილში ზემოაღნიშნული შესწორების გათვალისწინებით — 2.901.894 ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო გასავლის ნაწილში — 2.898.894 ათასი მანეთის ოდენობით, შემოსავლის გადამეტება გასავალზე განისაზღვროს 3 მილიონი მანეთით.

ამხანაგო დეპუტატებო! როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემებით ჩანს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა გასული წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მიმართ გაზრდილია თითქმის 226 მილიონი მანეთით, ანუ 8,4 პროცენტით.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებას ბიუჯეტიდან მოხმარდება 727.033 ათასი მანეთი, რაც მთელი ხარჯების 25 პროცენტს აღემატება. აქედან მრეწველობას მოხმარდება 163.060 ათასი მანეთი, სოფლის მეურნეობას — 211.400 ათასი მანეთი, კომუნალურ მეურნეობას — 188.766 ათასი მანეთი.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1.972.768 ათასი მანეთი, რაც 1955 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით მეტია 142.641 ათასი მანეთით, ანუ 7,8 პროცენტით, ხოლო მეხუთე ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის ფაქტიურად გაწეულ ხარჯებთან შედარებით 343.510 ათასი მანეთით, ანუ 21,1 პროცენტით.

სახალხო განათლებაზე მიმდინარე წელს უნდა დაიხარჯოს 1.160.134 ათასი მანეთი.

ბიუჯეტით დიდი თანხებია განკუთვნილი მეცნიერების შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. ამ დანიშნულებით 1956 წელს ვამოყოფილი თანხა 121 მილიონ მანეთზე მეტია და ოთხჯერ აღემატება 1940 წელს სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების შენახვის ხარჯებს.

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე თანხების საერთო მოცულობა მიმდინარე წელს 572.074 ათას მანეთს შეადგენს, რაც წინა წლის ხარჯებს 83.354 ათასი მანეთით აღემატება.

ასიგნობათა ასეთი ზრდა უმთავრესად გამოწვეულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, რომლითაც მედიცინის მუშაკებს მნიშვნელოვნად გაუდიდდათ ხელფასი. პარტიისა და მთავრობის ეს დიდი ზრუნვა ავალებს მედიცინის მუშაკებს მეტი ენერგიით და თავდადებით ემსახურონ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ღონისძიებათა დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 16.964 ათასი მანეთი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლის ასიგნობებს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს სახსრების მიზანშეწონილად გამოყენება და მიაღწიოს მაღალ სპორტულ შედეგებს სსრ კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაზე.

ხარჯები სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებზე წინა წელთან შედარებით გადიდებულია 21.552 ათასი მანეთით, ეს ავალებს სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებს გააძლიერონ პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ საპენსიო კანონმდებლობის ზუსტად დაცვა და სახელმწიფო სახსრების სწორად გამოყენება.

ამხანაგო დეპუტატებო! საბიუჯეტო კომისიის მიერ აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებანი სამინისტროთა და უწყებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში მიგვითითებს იმაზე, რომ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური კანტორა და რესპუბლიკის დაფინანსების სპეციალური ბანკები ჯერ კიდევ საკმაოდ არ ახორციელებენ კონტროლს საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობისადმი, სათანადო ყურადღება არ ექცევა მეურნეობაში არსებული რეზერვების გამოვლინებას და წარმოების ეკონომიკის შესწავლას.

საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მუშაობის გასაუმჯობესებად დიდი მნიშვნელობა აქვს მათ შორის ანგარიშსწორების დროულად განხორციელებას. ბევრი მათგანი უხეშად არღვევს მიმწოდებლებთან და საკრედიტო დაწესებულებებთან ანგარიშსწორების ვადებს.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო არასაკმაო ხელმძღვანელობას უწევს ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს. დიდი ნარჩენებია გადასახდელებში, სერიოზული ნაკლოვანებები გვხვდება სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებისა და შემნახველი სალაროების მუშაობაში.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელმა კომიტეტმა, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა სისტემატური კონტროლი უნდა დაწესონ საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობაზე, მიაღწიონ მათ მიერ საწარმოო-საფინანსო გეგმების აუცილებლად შესრულებას და უზრუნველყონ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა მთლიანად განაღდება.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ასახავს ახალი ხუთწლიანი გეგმის გრანდიოზულ ამოცანებს და უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები თავდადებით იბრძოლებენ, რათა უზრუნველყონ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება, რითაც თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებაში. **(ტასი).**

ფინეთიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

27 იანვარს ჰელსინკიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. გ. პერვუხინი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომეკო, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი. საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია ფინეთში იყო იმასთან დაკავშირებით, რომ ფინეთს გადაეცა პორკალა-უდის ტერიტორია და ხელი მოაწერეს საბოლოო ოქმს ამ გადაცემის შესახებ. (საკდესი).

კომუნიკე

მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში თანამშრომლობაზე საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის შეთანხმების ხელმოწერის შესახებ

ბელგრადი, 28 იანვარი. (საკდესი). 1956 წლის 28 იანვარს ბელგრადში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმებას ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ნ. პ. ფირიუბინმა, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით — იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილემ და ატომის ენერგიის საკავშირო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე რანკოვიჩმა.

ატომის ენერგიის დარგში საერთო თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებასთან ერთად შეთანხმება აგრეთვე ითვალისწინებს ატომის რეაქტორის მშენებლობას იუგოსლავიაში. რეაქტორის დაპროექტებისა და მშენებლობისათვის საბჭოთა კავშირი მეცნიერულ და ტექნიკურ დახმარებას გაუწევს იუგოსლავიას. რეაქტორის ტიპი ორივე მხარემ შეათანხმა იუგოსლავიის პროგრამის საფუძველზე. საბჭოთა კავშირი იუგოსლავიის მხარეს შესაძლებლობას მისცემს მიიღოს საჭირო მოწყობილობა და ატომგული საწვავი რეაქტორის განუწყვეტელი მუშაობის უზრუნველსაყოფად. მიწოდებული ატომგულის საწვავი შეთანხმების შესაბამისად გადადის იუგოსლავიის საკუთრებაში, ხოლო მასალებისა და ატომგულის საწვავის ფასები დაწესდება მსოფლიო ბაზრის ფასების შესაბამისად.

ამ შეთანხმების გარდა, ხელმოწერილ იქნება დამატებითი ოქმები, რომლებშიც განისაზღვრება ტექნიკური და კომერციული დეტალები.

ეს შეთანხმება ეკუთვნის იმ შეთანხმებათა რიცხვს, რომლებიც გათვალისწინებულია მოსკოვის 1955 წლის 1 სექტემბრის ოქმით ორი ქვეყნის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის შეთანხმებას

ქაბული, 28 იანვარი. (საკდესი). დღეს ქაბულში ფინანსთა სამინისტროს შენობაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ავღანეთისათვის სსრ კავშირის მთავრობის მიერ გრძელვადიანი კრედიტის მიცემის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის ელჩმა ავღანეთში მ. ვ. დეგტიარმა; ავღანეთის მხრივ — ავღანეთის ფინანსთა მინისტრმა აბდულ მალეკმა.

შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ მ. ვ. დეგტიარმა და აბდულ მალეკმა ერთმანეთს მიმართეს მოკლე სიტყვებით, რომლებშიც აღნიშნეს, რომ ამ შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს ავღანეთის ეკონომიური განვითარებისათვის და სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის მეგობრული კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

უძლიერესთა ასპარეზობა კალათბურთში

თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გრძელდება კალათბურთელ ვაჟთა უძლიერესი კოლექტივების ზამთრის ასპარეზობა.

29 იანვარს გაიმართა მორიგი შეხვედრები. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის კალათბურთელებმა მოუგეს მოსკოვის „სპარტაკს“ ანგარიშით 89 : 53.

მატჩი კაუნასის „ჟალგირისისა“ და კიევის „ბურევესტნიკის“ გუნდებს შორის დამთავრდა კაუნასელთა გამარჯვებით 64 : 62.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-17 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1956 წლის 22 იანვარს ქალაქ აშხაბადში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
020082	11*)	1.000	025623	46*)	1.000	029296	24*)	10.000	034745	1—50	500
020106	44*)	5.000	025637	04*)	5.000	029316	1—50	200	035063	45*)	1.000
020109	1—50	500	025662	21*)	1.000	029381	16*)	1.000	035167	1—50	200
020134	43*)	1.000	025665	25*)	1.000	029808	46*)	1.000	035481	45*)	1.000
020200	1—50	500	025776	1—50	500	029845	48*)	1.000	035490	10*)	1.000
020741	07*)	1.000	025782	41*)	1.000	029963	01*)	1.000	035556	20*)	1.000
020915	19*)	1.000	025789	18*)	1.000	030300	25*)	1.000	035591	1—50	200
021040	22*)	1.000	025868	07*)	25.000	030315	17*)	1.000	035752	36*)	1.000
021063	1—50	500	025957	1—50	200	030317	34*)	1.000	036046	26*)	5.000
021137	1—50	200	026121	1—50	500	030571	1—50	200	036109	1—50	500
021369	37*)	1.000	026127	1—50	200	030587	24*)	1.000	036230	03*)	1.000
021480	44*)	1.000	026596	1—50	200	030637	1—50	200	036364	1—50	200
021565	20*)	1.000	026646	16*)	1.000	030688	04*)	1.000	036509	14*)	1.000
021686	1—50	500	026689	14*)	1.000	030768	40*)	1.000	036510	1—50	200
021695	24*)	1.000	027052	27*)	50.000	030912	42*)	1.000	037013	12*)	1.000
022204	31*)	1.000	027085	10*)	1.000	031105	16*)	1.000	037115	20*)	1.000
022226	40*)	1.000	027476	30*)	1.000	031156	49*)	1.000	037122	41*)	10.000
022768	21*)	1.000	027565	02*)	1.000	031254	12*)	1.000	037242	1—50	200
022897	38*)	1.000	027619	17*)	1.000	031299	27*)	1.000	037398	18*)	1.000
022934	10*)	1.000	027652	10*)	1.000	031346	14*)	1.000	037434	33*)	1.000
022990	15*)	1.000	027657	12*)	1.000	031362	1—50	200	037453	03*)	1.000
023116	1—50	500	027717	1—50	500	031512	36*)	5.000	037717	09*)	5.000
023166	36*)	1.000	027733	43*)	1.000	031692	1—50	200	037788	1—50	200
023317	31*)	25.000	027749	1—50	200	031859	1—50	500	037923	1—50	200
023331	11*)	1.000	027784	1—25	200	032103	50*)	1.000	038081	42*)	1.000
023447	21*)	1.000	028113	1—50	200	032115	48*)	1.000	038283	1—50	500
023520	37*)	10.000	028228	35*)	1.000	032200	13*)	1.000	038333	06*)	1.000
023682	1—50	200	028253	43*)	1.000	032521	33*)	1.000	038368	16*)	1.000
023882	38*)	5.000	028279	37*)	10.000	032710	1—50	200	038607	38*)	1.000
024619	1—50	200	028452	10*)	1.000	032765	18*)	5.000	038752	35*)	10.000
024620	39*)	1.000	028561	1—50	500	032783	38*)	1.000	038997	1—50	200
024640	06*)	1.000	028618	39*)	1.000	033224	24*)	1.000	039035	07*)	1.000
024755	1—50	500	028765	44*)	1.000	033292	05*)	5.000	039103	28*)	1.000
024792	22*)	1.000	028770	24*)	1.000	033324	1—50	200	039117	42*)	1.000
024903	1—50	500	028820	1—50	200	033528	44*)	5.000	039135	03*)	1.000
025027	1—50	200	028878	1—50	500	033583	1—50	500	039236	04*)	1.000
025124	26*)	1.000	029041	05*)	1.000	033764	1—50	500	039340	50*)	1.000
025128	35*)	1.000	029056	19*)	1.000	033878	38*)	5.000	039571	37*)	1.000
025212	1—50	200	029106	02*)	1.000	033942	30*)	1.000	039573	1—50	200
025224	28*)	1.000	029132	1—50	200	033947	12*)	1.000	039805	24*)	1.000
025317	1—50	500	029229	33*)	1.000	034395	13*)	1.000	039855	1—50	200
025558	24*)	1.000	029230	22*)	1.000	034515	32*)	1.000	039904	1—50	500

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — აშხაბადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ტ. ატაევი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი მ. ა. სმირნოვა.

მეუღლე გალაქტიონ აბესაძე, და ნატალია ოჯახებით იუწყებიან
ეფროსინე სიმონის ასულ არაბიძე-აბესაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-II, 3 ს. ქ. ზესტაფონში. გამოსვენება ჭიათურის ქ. № 35.

შვილები პაშა, სუსანა, ბორის, დები დარიკო, სონია, მანია ოჯახებით იუწყებიან
ანა ლაზარეს ასულ ლაზარევა-ახვერდოვას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-I, 1-II, 8 ს. გამოსვენება 2-II, 4 ს. ვერცხლის ქ. № 35.

მეუღლე თებრო, შვილები ვალერიან, ალ